შპს „დეა“
სკოლა „გენიოსის“
მოსწავლეთა თვითმართველობის
დებულება

2021-2022 სასწ. წელი

თვითმმართველობის ზოგადიდებულებები

- **მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი:**

სკოლის თვითმართველობის მიზანია თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა, მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მოსწავლეთა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, მოსწავლის \მიეროჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობა.

- **მოსწავლეთათვითმართველობა:**

1. მოსწავლეთა თვითმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, რომელიც წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს;

2. მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმართველობებს II და III საფეხურზე (II საფეხურის თვითმართველობას ემატება V და VI კლასები);

3. მოსწავლეები, რომელთაც სურთ, არჩეულნი იყვნენ თვითმართველობაში, რეგისტრაციას გადიან შესაბამისი კლასის დამრიგებელთან არჩევნების ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე, დამრიგებლის არყოფნის შემთხვევაში კი სკოლის ორგანიზატორთან;

4.მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს თვითმარველობაში ირჩევენ თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, კლასების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით;

5.მოსწავლეთა თვითმართველობის არჩევნები ტარდება სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვისვადაში;

6.მოსწავლეთა თვითმართველობებში თითოეული კლასის მოსწავლეები ირჩევენ თვითმართველობის ორ წარმომადგენელს და კლასის ჯგუფხელს შესაბამისი სასწავლო წლის ვადით;

7.თითოეული კლასის მოსწავლე ხმას აძლევს ერთ კანდიდატს მოსწავლეთა თვითმართველობაში ასარჩევად. გამარჯვებულად ითვლებიან ის მოსწავლეები, რომლებიც შესაბამის კლასში მეტ ხმას მოიპოვებენ.

8.შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმართველობების წევრები და ჯგუფხელები ირჩევენ თვითმართველობის პრეზიდენტს და ორმოადგილეს;

9. ჩატარებული არჩევნები დასტურდება შესაბამისი ოქმებით;

10. თვითმართველობის სხდომებს, გარდა თვითმართველობის წევრებისა და ჯგუფხელებისა, ესწრება დირექციის წევრი;

11. თვითმართველობის სხდომა იმართება თვეში ერთხელ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საფეხურის პრეზიდენტს უფლება აქვს, მოიწვიოს დამატებითის ხდომა;

12.მოსწავლეთა თვითმართველობას ხელმძღვანელობს თვითმართველობის მიერ არჩეული პრეზიდენტი, ხოლო პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში სხდომას წარმართავს ერთ-ერთი მოადგილე;

13.შესაბამისი საფეხურის თვითმართველობის პრეზიდენტი ვალდებულია სასწავლო წლის დამთავრებისას წარმოადგინოს თვითმართველობის საქმიანობის წლიური ანგარიში, რომელიც დასტურდება ოქმით;

- **მოსაწავლეთა თვითმართველობის უფლებები და ფუნქციები:**

ა)მოსწავლეთა თვითმართველობა თანამშრომლობს დირექციასთან და სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ათანხმებს მასთან;

ბ) მოსწავლეთა თვითმართველობის ფუნქციაა, დაიცვას მოსწავლეთა ინტერესები და მათი უფლებები, საჭიროების შემთხვევაში უშუამდგომლოს მოსწავლეებს სკოლის დირექციასთან.

გ) თვითმართველობის ორგანო ხელსუწყობს სკოლაში არსებული კლუბების აქტიურმუშაობას.

დ) სკოლის თვითმართველობა უფლებამოსილია: წარადგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე;

ე) სკოლის თვითმართველობა უფლებამოსილია, მონაწოლეობა მიიღოს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმასა და განხორციელებაში;

ვ) თვთმართველობა განიხილავს სწავლაში პრობლემების მქონე მოსწავლეთა საკითხს;

ზ) განიხილავს გამორჩეული მოსწავლეების აღიარებისა და წახალისების საკითხს;

თ) თვითმართველობას შეუძლია, დაგეგმოს გამოფენები დერეფნებსა და საკლასო ოთახებში, კედლის გამოცემები და სხვა.

ი) თვითმართველობის ორგანო ერთ-ერთი ხელის შეწყობი მექანიზმია მოსწავლეთა ჯანსაღი ცხოვრების წესის;

კ) მოსწავლეებს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის მიუღებელი საქციელი; სკოლა განიხილავს თვითმართველობის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და იღებს შესაბამის ზომებს.

სკოლის დირექტორი **(ვ.ყურულაშვილი)**